№ 264 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მან. პარასკევი 21 ნოემბერი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი, ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი: № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ფეულიხიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.
პარასკევს, ნოემბრის 21-ს მეოთხე გასტროლი პეტროგრადის მუსიკალურ დრამის მსახიობის მ. ს. დავიდოვასი

## სევილიელი დალაქი

როზინა—დავიდოვა, გრაფი ალამოვივა, ზალიპსკი, ფიგარო—იხაშვილი, დონ ბაზილიო—ისეცკი, დონ ბარტოლო—დემიანენკო. შაბათს, ნოემბრის 22-ს ოპერა მუშებისთვის „აიდა“ კვირას, ნოემბრის 23 ს დილით „დემონი“, საღამოს „ტოსკა“.

**წიგნების გამომცემლობა „ქართული ბიბლიოთეკა“**

აცხადებს მწერალთა და მთარგმნელთა საყურადღებოდ, რომ ის სცემს, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, ისე სახელმძღვანელოებსაც. პირველ წიგნად გამოდის

## დია ჩიანელის ახალი დიდი რომანი ორ ნაწილად

## „ქ ე თ ო“

გამომცემლობის კანტორა იმყოფება გრიბოედოვის ქუჩაზე, სახლი № 15. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 12—2 საათამდე.
რწმუნებული ა. ესაკია.

## ტფილისის სამხედრო ბინათა დისტანცია

აცხადებს რომ 3 დეკემბერს, ამა წელს თავის კანცელარიაში (ინჟენერის ქუჩა № 2) დანიშნულია შეჯიბრება შეშის და ქვა-ნახშირის გადასაზიდათ დიდუბის შეშის საწყობიდან (ანდრიას და ბათუმის ქუჩების კუთხე) სამხედრო უწყებების და ჯარის ბინებში ვადით 1 დეკემბრიდან ამა წლის 1 აპრილამდი 1920 წლ.

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებაში, უნდა შემოიტანოს განცხადება აღნიშვნით, რა ფასში შეუძლიან გადაზიდვა 1 კუბ. საჟ. შეშისა და 1 ფუთი ნახშირისა. განცხადება მიიღება არა უგვიანეს 2 დეკემბრისა. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში დილის 9 საათიდან 3 საათამდის. 3—3 161

## საკომერციო ცოდნათა გამავრცელებელი საზოგადოების

თავმჯდომარე იწვევს ხსენებულ საზოგადოებას საზოგადო კრებაზე მომავალ კვირას, 23 ნოემბერს, დილის 12 საათზე თავისივე შენობაში (პანასკევიჩის ქ., № 38).

კითხვები: 1. უძრავ და მოძრავ ქონების შესახებ, 2. გამგეობის და სარევიზიო კომისიის შესახებ და 3) მიმდინარე საქმეები. 1-1

**ოფიციალური განყოფილება.**

## დეკრეტი

**რესპუბლიკის ბონების გამოცემის განგრძობისა.**

1. საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის ამა 1919 წლის ივლისის 11-ს დეკრეტის (კან. და მთავრ. განკარგ. კრებული 1919 წ. № 11, დეკრ. 101) დამატებად უფლება მიეცეს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამას მილიონ (300.000.000) მანეთისა.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ნოემბრის 7-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

## კანონი

**საქართველოს გზატკეცილების სამართველოს წარსული წლის ხარჯის დასაფარავად 180.730 მან. და 22 კაპ. გადადებისა.**

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზატკეცილების სამართველოს განკარგულებაში წარსულ წლის ხარჯთაღრიცხვის მუხლით 10, § 2 ას ორმოცდათვრამეტი ათას სამას სამოცდათექვსმეტი მან. და 54 კაპ. (158.376 მან. 54 კაპ.) მუხ. 2, § 3-7 ოთხას ოთხმოცდა თექვსმეტი მან. 74 კაპ. (496 მ. 74 კაპ.) და თოთხმეტი ათას რვაას ორმოცდა თექვსმეტი მან. და 94 კაპ. (14.856 მ. 94 კაპ.) სულ ას ოთხმოცი ათას შვიდას ოცდაათი მან. და 22 კაპ. (180.730 მ. 22 კ.).

1919 წ. ნოემბრის 11-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

## დეკრეტი

**ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის ყოფილ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ხარჯის დასაფარავად 100.000 მანეთის გადადებისა.**

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ასი ათასი (100.000) მან. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის ყოფილ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ხარჯის დასაფარავად.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ნოემბრის 11-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

## დეკრეტი

**საქართველოში ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალ საბჭოს არჩევისა.**

1. საქართველოს ტერიტორიაზე ნაფიც ვექილად, მის თანაშემწედ და კერძო ვექილად შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომი.

**შენიშვნა** 1. მთავრობას უფლება აქვს შეუთანხმდეს სხვა სახელმწიფოების მთავრობათა, რომ საქართველოს მოქალაქე ნაფიც ვექილსა, მის თანაშემწესა და კერძო ვექილს უფლება მიეცეს აწარმოოს სხვისი საქმეები უცხო ქვეყნის სასამართლოებში იმ პირობით, რომ ასეთივე უფლება მიენიჭოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ნაფიც ვექილსა, მის თანაშემწესა და კერძო ვექილს საქართველოში

**შენიშვნა 2.** იმ ვექილს, რომელსაც ზემოაღნიშნულ მუხლით დაეკარგება უფლება სასამართლოში საქმის წარმოებისა, უფლება მიეცეს დაამთავროს ბოლომდე ის საქმე, რომლის წარმოებაც დაწყებული იქნება სასამართლოს დაწესებულებაში 1920 წლის იანვრის პირველამდე.

2. გაუქმდეს ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც ვექილთა საბჭო.

3. დაარსდეს საქართველოს ნაფიც ვექილთა საბჭო, რომლის ასარჩევად მოწვეულ იქნეს, სასამართლო დაწესებულებათა დებულების მე-358 და 359 მუხლებში განსაზღვრული წესით საქართველოს მოქალაქე ნაფიც ვექილთა საზოგადო კრება.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა „საქართველოს რესპუბლიკაში“.

1919 წ. ნოემბრის 11-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი

## განკარგულებანი.

**იუსტიციის მინისტრისა.**

12 ნოემბერი, 1919 წ. № 259.

**ჩაირიცხა** სასამართლოს უწყებაში და იგზავნება: სოხუმის მე 2 უბნის გამომძიებლის მოვალეობის ასასრულებლად ევგენი ივანეს ძე არეპიევი ამა წლის ნოემბრის 8-დან.

16 ნოემბერი, 1919 წ. № 260.

**იგზავნება:** ტფილისის მე 2-ე უბნის გამომძიებლის თანამდებობის ასრულებელი დიმიტრი გრიგოლის ძე გაბაშვილი ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის ასრულებლად ამა წლის ნოემბრის 17-დან.

მინისტრი ევგ. გეგეჭკორი.
დირექტორის მაგ. დ. წითლანაძე.

**სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგისა.**

17 ნოემბერი, 1919 წ. № 90.

**დაინიშნა:** ქუთაისის მე 4 უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გამგე ონოფრე შუშანია მარტვილის გიმნაზიის დირექტორად მიმდინარე წლ. 10 ნოემბრიდან.

№ 91.

**დაინიშნა:** ხაშურის გიმნაზიის დირექტორის თანამდებობის ასრულებლად შალვა მხეიძე მიმდინარე წლის 6 ნოემბრიდან.

მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე.

**არა ოფიციალური განყოფილება**

## მთავრობაში

**15 ნოემბრის სხდომა.**

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე—ევგ. გეგეჭკორი; მინისტრები: ბ-ნნი რამიშვილი, ხომერიკი, კანდელაკი, ერაძე; სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი ბ ნი ანდრონიკაშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი გედევანიშვილი, ავალიანი, ნ. ქარცივაძე; დეპარტამენტების დირექტორები: ნ. ჭიჭინაძე, ჟორდანია.

**5 მილიონიან ფონდის შექმნისთვის.**

მიღებულ იქნეს და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას დეკრეტი 5 მილიონიან ფონდის დაარსებისა სათესი ხორბლის შესაძენათ.

**დახმარება სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებას.**

სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებას სკოლების შესანახ ხარჯების დასაფარავათ მიეცეს სუბსიდია 800,000 მან. სათანადო დეკრეტი შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

**დანიშვნანი.**

სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეთ დაინიშნოს ესტატე ალექსანდრეს ძე მაჩაბელი.

მიხეილ ნიკოლოზის ძე მიხაილოვი დაინიშნოს ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგათ.

**რკინის გზაზე სამხედრო პირთა მიმოსვლის შესახებ.**

გაუქმდეს მთავრობის დადგენილება იმის შესახებ, რომ სამხედრო პირთ, სამსახურის გამო რკინის გზებით გამგზავრების დროს, ეძლეოდეთ „ლიტერ“—ა-ნის ბარათები, მხოლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც წამსვლელთა რიცხვი არ აღემატება 10 კაცს.

გაუქმდეს სამიმოსვლო ბარათები შემდეგი ლიტერებისა: ბ. ვ. მ. დ. ჟ. ზ. ი. კ. ლ. მ. და ო ნისა.

დატოვებულ იქმნას ძალაში სამიმოსვლო ბარათები შემდეგი „ლიტერებისა“: ა და ნ, რომელთა საშუალებით მიმოსვლა უნდა ხდებოდეს ყველაფერში თანახმათ „დებულებისა ჯართა გადაყვანის და მათი ტვირთების გადაზიდვისა რკინის გზებით“.

დატოვებულ იქმნას ძალაში მთავრობის დადგენილება სამხედრო ტარიფის შეცვლის შესახებ და სამხედრო პირთა გადაყვან-გადმოყვანის და სამხედრო ტვირთების გადაზიდვის შესახებ საზოგადო კომერციული ტარიფით.

გაუქმდეს სამხედრო პირთა გადაყვან-გადმოყვანა და სამხედრო ტვირთების გადაზიდვა „სასწრაფო ბარათებით“, რომელთა დაშვება შეიძლება მხოლოთ ომიანობის დროს.

დაევალოს რკინის გზების კომენდანტებს, სადაც ამგვარნი არსებობენ, ხოლო დანარჩენ ადგილებში—სადგურების უფროსებს, სამიმოსვლო ბარათების წინასწარი გასინჯვა „კასაში“ წარდგენამდე.

**სამხედრო მოსამსახურეთა ჯამაგირის გასადიდებლათ.**

სამხედრო მინისტრის მოხსენება რესპუბლიკის ჯარში მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ მიღებულ იქმნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

**დებულების დამტკიცება.**

დროებით, სანამ სათანადო კანონი გამოიცემოდეს, დამტკიცებულ იქმნას „დებულება სამხედრო აღრიცხვის ნაწილთა უფროსების შესახებ.“

## განათლების სამინისტროში.

**საზღვარ-გარეთ გასაგზავნ სტუდენტთა სიის გადიდება.**

18 ნოემბერს შესდგა საუწყებათაშორისო კომისიის უკანასკნელი სხდომა, განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით. გადასწყდა საზღვარგარეთ გასაგზავნ სტუდენტთა სიას 25 სტუდენტი კიდევ მიემატოს. ამნაირად გაიგზავნება სულ 75 კაცი.

## იუსტიციის სამინისტროში

**ახალი დანიშვნები**

იუსტიციის მინისტრის წარდგენით რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაინიშნენ: სამხედრო სასამართლოს წევრი ესტ. მაჩაბელი ამავე სასამართლოს წევრად, ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგად მელქ. კანდელაკი იმავე სასამართლოს პროკურორის თანამდებობის ასრულებლად და ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ალექ. ყანჩელი სასამართლოს პალატის პროკურორის ამხანაგად.

**გიაურ არხის მამულში აღმოჩენილ ბოროტმოქმედებათა გამოძიება.**

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებათა შეერთებულ კრებულში სასწრაფოთ შეტანილ იქნას საკითხი სასამართლოს ერთ-ერთ წევრის გაგზავნის შესახებ გიაურ-არხის სახელმწიფო მამულში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებათა გამოსაძიებლად.

### იურიდიული ლექსიკონი.

იუსტიციის სამინისტროში დაარსებულ საგანგებო კომისიის მიერ შედგენილი რუსულ ქართული ლექსიკონი იურიდიულ ტერმინებისა სასწრაფოთ იბეჭდება ქალაქთა კავშირის სტამბაში. უკვე დაბეჭდილია სამი ფორმა—ასო „გ“-მდე. ლექსიკონში შედის სამი ათასამდე სიტყვა. უკანასკნელი კორექტურა ედგინება განსახილველად პროფესორს ივ. ჯავახიშვილს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ლექსიკონის შემდგენელ კომისიის მუშაობაში. ლექსიკონის ბეჭვდა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 15—20 დეკემბრისა. ფასი ჯერ გამორკვეული არ არის და დანიშნული იქნება თვით ღირებულების მიხედვით. მსურველთ ამ თავითვე შეუძლიანთ ლექსიკონის დაკვეთა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში. წიგნი სამი ათას ცალად იბეჭდება.

### სახამართლოს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

იუსტიციის სამინისტრომ ცირკულიარულად მოსთხოვა ყველა ხელქვეით დაწესებულებათ და თანამდებობის პირთ, რათა სამინისტროს დეკემბრის ათამდე წარმოედგინოს მოხსენებანი ამ დაწესებულებათა საქმიანობაში შემჩნეულ ნაკლისა, ამის მიზეზების და გაუმჯობესების საშუალების შესახებ. ცირკულიარის პასუხად მიღებული მასალა გადაეცემა საგანგებო კომისიას იმის გამოსარკვევად, თუ რა გაუმჯობესების განხორციელება მოხერხდება სამინისტროს საკუთარ ძალღონით და რის შესახებ იქნება საჭირო მთავრობაში და დამფუძნ. კრებაში საკითხის შეტანა. პირველ რიგის საკითხები დაუყონებლივ გადაწყვეტილი იქნება სამინისტროს მიერ, ხოლო მეორე რიგის საკითხებს მიეცემა სასწრაფო მსვლელობა სათანადო წესით.

# დამფუძნებელი კრება

### 18 ნოემბრის სხდომა.

### ნ. რამიშვილის სიტყვა.

ჩვენ ამას წინეთ აქ გაანვაცხადეთ მთავრობის სახელით, თუ რა ხასიათი აქვს იმ მოძრაობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ტერიტორიის ზოგიერთ ადგილას. სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციას ამ განცხადების საწინააღმდეგო საბუთი არ წამოუყენებია. ჩვენ აქ მაშინ განვაცხადეთ, რომ ეს არის მოძრაობა გამოწვეული უცხო ძალების მიერ, რომელნიც მოქმედებენ ჩვენს ნაძირალებთან ერთად. ესენი ჩვენი საზოგადოების მისყიდულ ნაძირალებთან ადგენენ იმ ბლოკს, რომლის მიზანია ჩვენი დამოუკიდებლობის დასამარება.

ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ ამ ელემენტებმა გურიაში მომხდარ უკანასკნელ გამოსვლების მოსაწყობათ 12 მილ. მანეთი დახარჯეს. თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ თუ რა დიდი თანხაა ეს ამ საქმისათვის. თქვენ ალბათ იცით, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნებში ყველა პარტიებმა და ჯგუფებმა ერთად დახარჯეს დაახლოვებით ნახევარი მილ. მან. (ასათიანი: თქვენ საიდან იცით ეს?) მე თვითონ მონაწილე ვარ პოლიტიკური პარტიისა და ვიცი. და როცა ასეთი თანხით და ბრძოლის მეთოდით გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ არ შეგვიძლიან გულხელ დაკრეფილნი ვიყვეთ.

აქ ამბობდენ, რომ ჩვენში ნაძირალები არ არიანო. აი მაგ. ჩოხატაურის გამოსვლებში ვინ იღებდენ მონაწილეობას: ბერიძეები, მგალობლიშვილები და სხ. ეს ყოფილი თავადაზნაურები. აი ესენი ცდილობენ ჩვენი საზოგადოების მარცხნივ გადახრას (ლ. ნათაძე ადგილიდან: ლ. შენგელაიაზე მარცხნივ?) დიახ, მათი მოქმედება და მიზანი აშკარაა ყველასათვის გარდა მათი, ვინც ფიქრობს მარცხენა ფეხით იაროს. და როცა ასეთ ხალხთან გვაქვს საქმე, მთავრობა ვალდებულია თუ არა მიიღოს სასტიკი ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც აქ მოქმედობს რუსეთის ცენტრალური ორგანოების ან მიღებულ დირექტივების თანახმათ და სურს დაგვინგრიოს სახელმწიფო? დიახ, მთავრობა ვალდებულია მიიღოს მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები, ის ამას იღებს და შემდეგშიაც მიიღებს.

აქ შენგელაია ამბობდა, რომ უცხოელები იმიტომ ეპყრობიან ასე ჩვენს დამოუკიდებლობას, რომ ისინი არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ცნობილი იქნება და როდესაც ეს მოხდება, მაშინ ისინი თავიანთ ორგანიზაციებს ლიკვიდაციას გაუკეთებენო, მე კი მგონია წინააღმდეგი. ყველა პოლიტიკურმა მოღვაწემ უნდა იცოდეს, რომ ხალხის სუვერენობა, დამოუკიდებლობა ერთის ხელის დაკვრით ვერ მოეწყობა, ეს უდაო ჭეშმარიტებაა. სახელმწიფო შენდება თან და თან ამ შენების დროს ის თან და თან მტკიცდება, ამიტომ ჩვენ გვინდა შინაური მდგომარეობა განვამტკიცოთ, და მასთან ერთად შეუდგეთ საგარეო მდგომარეობის განმტკიცებას. ამაში კი ზოგიერთი უცხო პარტიები და ჯგუფები ხელს გვიშლიან, მაგრამ მთავრობა ვალდებულია ამ გარემოებას სერიოზული ანგარიში გაუწიოს.

ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი იმისა, რომ ჩვენში ემიგრანტები იყვნენ, მაგრამ მათი უფლება და მოვალეობა აუცილებლათ უნდა იყოს განსაზღვრული. არც ერთ ემიგრანტს არა აქვს უფლება ჩაერიოს სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებაში და მის წინააღმდეგ ბრძოლა აწარმოოს. ჩვენ ამის ნებას ვერავის ვერ მივსცემთ. როგორც მომხსენებელმა გითხრათ თვით დემოკრატიულ შვეიცარიაში არც ერთს ემიგრანტს არ აქვს უფლება სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებაში ჩაერიოს.

აქ შეეხენ ერთ სავალდებულო დადგენილებას, რომელიც ჩვენ ამ დღეებში გამოვეცით ეს მოხდა ადგილობრივი თვითმართველობის წარდგენის თანახმად, დემოკრატიული თვითმართველობა ითხოვდა ამ ზომის მიღებას და ჩვენ ვალდებული ვიყავით მისი სურვილისათვის ანგარიში გაგვეწია. ჩვენ იქ ვამბობთ, რომ ყველა ის, ვინც დაკავშირებული არ არის ქ. ტფილისთან რაიმე სამსახურით, საქმით, ის ვალდებულია ტფილისიდან გავიდეს 15 დღის განმავლობაში (ლ. შენგელაია ადგილიდან: ამით თქვენ ებრძვით უმუშევრებს), არა, ბატონებო, ჩვენ უმუშევრებს არ ვებრძვით, ამას დაინახავთ თუ გადაიკითხავთ იმ სავალდებულო დადგენილებას, უმუშევრების შესახებ იქ არის ცალკე მუხლი შეტანილი. ჩვენ ვებრძვით მხოლოდ მათ, ვინც ჩვენში სპეკულიანტობენ, უსაქმოთ ძრიან და უცდიან არევ-დარევას, რომ ამით ისარგებლონ და თავიანთი ბნელი საქმეები აკეთონ. თუ თქვენ მართლა უკვირდებით ქალაქის ცხოვრებას და იმ სასურსათო და ბინის კრიზისს, რომელსაც ადგილი აქვს აქ, განა თვითმართველობა ვალდებული არ არის მიიღოს ისეთი ზომები, რომელსაც მიმართა რევოლუციონურმა ავსტრიამ და რომელსაც წინეთ მიმართავდა დემოკრატიული შვეიცარია. იქ არავის არ უთქვამს, რომ მთავრობამ არ უნდა იზრუნოს დემოკრატიის თვით დაცვაზე და ასეთი ზომები არ უნდა მიიღოს. და მგონია, რომ დამფუძნებელი კრება, რომელიც სდგას დემოკრატიზმის განმტკიცების ნიადაგზე ამ ზომებს დაადასტურებს და მით საშუალებას მოგვცემს ჩვენ ვებრძოლოთ ყველა ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების მტრებს. (ტაში)

**სპ. კედია** (ე. დ.) აღნიშნავს, რომ ჩვენი ფრაქციას ამ დეკრეტის საწინააღმდეგო არაფერი აქვსო. ეს ზომები დაგვიანებულია, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან უნდა მიგვეღოთ ასეთი ზომები. ამ საკითხში ოპოზიცია არ უნდა ყოფილიყო, ყველა სახელმწიფოებში ასე იქცევიან; მაგ. პარიზში დღესაც არ უშვებენ უცხოელებს თუ სათანადო ნებართვა არ ექნებათ. ასეთი წესი მათ შემოიღეს ომის დაწყებიდან. ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს ამ დეკრეტს და მოითხოვს, რომ ის ფხიზლათ იქნას გატარებული ცხოვრებაში.

**შ. ნუცუბიძე** (ს. ფ.) ჩვენ მომხრე ვართ ამ დეკრეტისა, არსებითად ამ დეკრეტს ვერაფერს შევმატებთ, მაგრამ მე მინდა შევეხო სოც. რევოლიუციონერთა ოპოზიციას. ოპოზიცია იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ყოველთვის, ყოველ გვარ პირობებში იმის წინააღმდეგ წახვიდე რასაც მთავრობა იტყვის, დღევანდელ პირობებში ჩვენ ასეთ ზომას ხმას ვაძლევთ, ნორმალური პირობები რომ იყოს მაშინ სხვა არის. მხოლოდ უნდა უთხრა მთავრობას, რომ მან ყოველივე ზომა მიიღოს, რათა დამჭერთა დაჭერა არ დაგვჭირდეს. დასასრულ უნდა მივაქციოთ დამფ. კრების და მთავრობის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენში ანარქიის გამომწვევი მარტო საგარეო მდგომარეობა და უცხო ელემენტები არ არიან, არამედ ამას ხელს უწყობს თვით შინაური მდგომარეობა. ამიტომ მთავრობამ უნდა იზრუნოს შინაურ მდგომარეობაზედაც. შემდეგ ორატორი ეხება იმ გარემოებას, რომ დამფუძნებელი კრება სავსებით ვერ არის გამომხატველი ჩვენი ხალხის ნებისყოფისა, აქ სოც. დემოკრატიის უმრავლესობა საარჩევნო მექანიკის ნაყოფიაო.

მომხსენებელი **ჯაფარიძე** აღნიშნავს, რომ სოც. ფედერ. 2 წლის წინეთ, როცა, სათათბიროში დეპუტატებათ გადიოდენ, სოც. დემოკრატები ამბობენ, რომ ეს საარჩევნო მექანიკის შედეგიაო. ბ. ნუცუბიძეც ამასვე ამბობს, რა ჩვენი ბრალია თუ თქვენ 12 წლის განმავლობაში ვერ ისწავლეთ, რომ საქ. საარჩევნო მექანიკა არაფერ შუაშია. აქ გვითხრეს, რომ მარტო დეკრეტით ანარქიასთან არ შეიძლება ბრძოლაო. ეს ჩვენც ვიცით და ამიტომ სწერია დეკრეტში, რომ ის არის ანარქიასთან საბრძოლველი ერთად ერთი ზომა, და თან დაუმატეს, რომ ანარქიას მარტო უცხოელები არ უმზადებენ ნიადაგსო, დღეს, მაგ., გიმნაზიის პირველი კლასის მოწაფემაც კი იცის, რომ ანარქიისათვის ნიადაგი მზათ არის საერთო პირობების გამო. ამ ნიადაგით სარგებლობენ უცხო ელემენტები, შინაური მტრები და ჩვენც უნდა ვებრძოლოთ ამას. შემდეგ მოხდა მუხლობრივი განხილვა.

მეორე მუხლში ს.-დემ. ფრაქციის სახელით რ. არსენიძეს შეაქვს შესწორება შემდეგი ხასიათისა: „დეკრეტში სწერია გაძევებულ იქნას საქართველოს საზღვრებიდან და სხვ.“ შესწორება ასეთია: „გაძევებულ იქნას ყოველი პირი, რომელიც თავის მოქმედებით, სიტყვით, ან წერით ზიანს აყენებს საქართველოს დამოუკიდებლობას“. ამ რიგათ ამ მუხლში შეტანილ იქნა მომენტი დანაშაულობისა.

შესწორება მიღებულ იქნა, ზოგიერთი სხვა შესწორებებით დეკრეტი მიღებულ იქნა.

### დეკრეტი დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების დამატებისა.

**ი. ფირცხალაიშვილი** მოახსენებს კრებას, რომ სოხუმის ოლქში ანარქიისა გამო არჩევნები არ მომხდარა. საერთო არჩევნების დროს, ვერც დამატებითი არჩევნების დროს მოხერხდა იქ არჩევნების მოწყობა. ამის გამო დამფუძ. კრებამ კიდევ ექვსი თვით გააგრძელა სოხუმის არჩევნების ვადა. ეს ვადა გადის პირველ იანვარში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადასწყვიტა, სოხუმის ოლქში არჩევნები მოახდინოს ვადის გასვლამდე. ამასთანავე საჭიროა დამფუძნებელმა კრებამ მიიღოს, რომ თუ გამოჩნდება რომელიმე ახალი პარტია, ან ჯგუფი, გარდა იმ 15 პარტიისა, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას იღებდა, მიეცეს უფლება არჩევნებში საკუთარი სიით გამოსვლისა. ასეთი სია საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ 20 დღით ადრე არჩევნების დაწყებისა. ეს დეკრეტი უკამათოდ იქნა მიღებული.

**ალ. ასათიანის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ალავერდის ქარხნიდან ოქრო-ვერცხლის შესაძენათ 225,400 მან. გადადების შესახებ.

**ნ. იმნაიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სატელეგრაფო ქსელის გამბა-შეკეთებისათვის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 357,000 მან. კრედიტის გახსნის შესახებ.

**ნ. ელიავას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ოზურგეთის სამაზრო ერობისათვის 3 მილ. მანეთის სესხის მიცემისა სატყეო ქარხნის მოსაწყობათ.

**გრ. ურატაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრთა გასამჯელოს გადიდებისა.

### საპროპაგანდო კომისიის არჩევა.

დამფუძნებელმა კრებამ თანახმად სოც.-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებისა აირჩია 7 კაცისაგან შემდგარი საპროპაგანდო კომისია, არჩეულ იქნენ: გრ. გიორგაძე, ივ. გომართელი, გრ. ურატაძე, ი. ბადრიძე, ი. გობეჩია, სპ. კედია და ს. ფირცხალავა.

სხდომა დაიხურა 4 ს. 15 წუთზე.

# საქართველოს გარშემო.

### იტალია და საქართველო. საქართველო და რომი 300 წლის წინათ,

იტალიურ გაზეთ „ლა ტრიბუნის“ 25 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„მე 17 საუკუნეში საქართველოს, კარგად იცნობდენ რომში, კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდემ“ ამ შორეულ ქვეყანაში გაგზავნა თავისი მისიონერები არა მარტო ამ პატარი საქრისტიანო ოაზისის სარწმუნოებრივ სულისკვეთების გასაცნობად, არამედ—ამ ხალხის მრეწველობის, მეურნეობის და ხასიათის შესასწავლად. ერთი პირველი მოგზაურთაგანი საქართველოში იყო, დამნიკანის ბერი ჯიოვანდი დე ლუკა, რომელიც გაემგზავრა საქართველოში 1624 წელს და რომელმაც ვრცელი მოხსენება დასწერა თათართა და ქართველთა ზნე ჩვეულების და ცხოვრების შესახებ. ჯიოვანი დაბრუნდა რომში 1626 წ. და შემდეგ ხელმეორედ გაემგზავრა საქართველოში. ამის შესახებ ზოგიერთ ცნობებს ვპოულობთ პეტრო დე ლაველის ერთ ერთ წერილში. ამ ცნობილმა მოგზაურმა და ლიტერატორმა (პეტრო დელავალემ 1586—1652) დაწერილებით შეისწავლა საქართველოს მიწა წყალი თავის მოგზაურობის დროს. ბაღდადში (მესოპოტომიაში) ყოფნის დროს მან გაიცნო თვრამეტი წლის ტურფა ასული ქართველი ქალი სიტი მანი, რომელიც ცოლად შეირთო. 11 წლის შემდეგ დელავალის მოუკვდა ცოლი, რომლის შემდეგაც იგი დაბრუნდა რომში, სადაც დიდი პატივით იქნა მიღებული რომის პაპის ურბან მე VIII-ს მიერ. რომის პაპი ძლიერ დაინტერესდა პეტრო დელავალის მოყოლილ ამბებით და სთხოვა მას დაეწერა მოხსენება საქართველოს შესახებ. ერთი წლის შემდეგ პეტრომ წარუდგინა პაპის ვრცელი წერილობითი მოხსენება, რომელსაც ეხლაც კი აქვს დიდი მნიშვნელობა. პეტრო დელავილეს დაბრუნების შემდეგაც, საქართველოში გაიგზავნა სხვა მისიებიც, რომელთა შორის იყვენ იაკობ დე სტეფანო, ჯუზეპე დელ ჯიულირე, გაეტანო დ'ალექსანდრო, ქრისტოფორე დეკასტელი. უკანასკნელმა სპარსეთში და საქართველოში ოცდა-ხუთი წელიწადი დაჰყო. მან დასტოვა მრავალი მნიშვნელოვანი ხელთნაწერები. სამწუხაროდ, დიდი ნაწილი ამ ხელთნაწერებისა დაიკარგა, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 7 ტომმა. მასში ვპოულობთ მრავალ ნახატებს საქართველოს ცხოვრებიდან, არის პორტრეტები საქართველოს მეფის და წარჩინებულ პირთა, არის პირი პაპის ურბან VIII წერილისა საქართველოს მეფისადმი მიწერილი. ტეატანის ბერებმა მარიცენმა და ლამბერტმა დასტოვეს ფრიად ძვირფასი მოხსენებები საქართველოს შესახებ.

საქართველოს წარმომადგენლები, ჩვენი სასურველი სტუმრები, რომლებიც ამ დღეებში გვეწვივნენ, ცხადად დაინახავენ, რომ მათ ქვეყანას ჩვენ სამასი წელია რაც ვიცნობთ.

# დამფუძნ. კრების კომისიაში

### მასწავლებელთა ჯამაგირების გადიდება.

დამფუძნებელ კრების განათლების კომისიამ ამას წინათ დაადგინა რესპუბლიკის ყველა ტიპის სასწავლებელთა მასწავლებლებს 100 პროცენტით გაუდიდდეთ ჯამაგირი. ეს დადგენილება აქამდე არ არის დადასტურებული, რათა სატარიფო პალატა არ ეთანხმება კომისიის დადგენილებას, რომლის ცხოვრებაში გასატარებლათ საჭირო იქნება 6.228.800 მან. გადადება ყოველთვიურათ.

### პენსიების დაწესებისთვის.

დამფუძნებელ კრების განათლების კომისიამ დაადგინა, ვიდრე რესპუბლიკის ყველა უწყებისთვის შემუშავდებოდეს საპენსიო დებულება, დაევალოს კომისიის მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას, შეიმუშაოს განათლების უწყების მოხელეთათვის პენსიის დანიშვნის წესი.

### შუამდგომლობა

ქუთაისის მასწავლებელთა კოლეგიის კერძო გიმნაზიის საბჭომ განათლების კომისიის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ხსენებულ გიმნაზიას აღმოუჩინოს 222,740 მან. დახმარება.

# გორის მაზრაში მომხდარ ამბების გამოკვლევა.

მთავრობის თავმჯდომარემ დამფუძნებელ კრების წევრს გიორგი ავქსენტის ძე ფალავას და სენატორ ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანს დაავალა გორის მაზრაში მომხდარ გამოსვლების მიზეზების გამოკვლევა.

ამასთანავე მთავრობის თავმჯდომარე წინადადებას აძლევს ადმინისტრაციას და ყველა სხვა უწყებათა წარმომადგენელთ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ხსენებულ პირთ ამ მინდობილობის ასასრულებლათ.

# ტფილისის გაწმენდისათვის.

მე მივიღე მთავრობის თავმჯდომარისაგან შემდეგი მოწერილობა:

„ტფილისის ზედმეტ მცხოვრებთაგან განთავისუფლების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს მოსალოდნელია ადგილი ექნეს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებას. ამიტომ წინადადებას გაძლევთ გამოუცხადოთ ყველა იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც დავალებული აქვთ ხსენებულ დადგენილების სისრულეში მოყვანა, რომ მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას და ყოველივე საჩივარი ამა თუ იმ ბოროტ მოქმედების შესახებ რომელიც ჩემამდის მოაღწევს სასწრაფოთ იქნეს გამოძიებული ჩემ მიერ და დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.“

ვაცხადებ მთავრობის თავმჯდომარის ამ მოწერილობას, როგორც ადმინისტრაციის მოხელეთა, აგრეთვე კერძო პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ. მე მივიღე ცნობები, რომ ზოგიერთ დაწესებულებებს ფიქტიურათ შეაქვთ თავის მოსამსახურეთა სიაში

და ყალბ მოწმობებსაც აძლევენ ისეთ პირებს რომლებიც სავალდებულო დადგენილების თანახმად უნდა გავიდნენ ტფილისიდან. ასეთების წინაალმდეგ იქნება მიღებული სასტიკი ზომები.

ტფილისის ქალაქის
მოურავი **ბ. ჩხიკვიშვილი.**

# მოქალაქეთა საყურადღებოთ

**ტფილისის გაწმენდისათვის.**

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სათათბიროს მიერ შემუშავებული და შინაგან საქმეთა მინისტრის ხელმოწერილი სავალდებულო დადგენილების უმტკივნეულოთ განხორციელება შეიძლება მხოლოდ მოქალაქეთა ენერგიული და კეთილსინდისიერი დახმარებით.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეს, ქალაქის თვითმართველობის ინიციატივით და შუამდგომლობით გამოცემული სავალდებულო დადგენილება ერთად-ერთ მიზანს ისახავს: გაანთავისუფლოს ქალაქი ზედმეტი პირებისგან და შეამციროს ის საშინელი სიძვირე და სურსათის და ბინის ნაკლი, რომელსაც განიცდიან რესპუბლიკის მოქალაქენი.

მეორე მხრით, ქალაქის თვითმართველობა ყოველივე ზომებს იღებს და მომავალშიაც მიიღებს, რათა გააუმჯობესოს გადასახლებულ უცხოელების მდგომარეობა და დაიცვას ისინი ყოველივე ბოროტ-მოქმედებისგან. ამ მიზნით ქალაქი დაყოფილია 11 რაიონათ და I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII კომისარიატებთან დაარსებულია საკონტროლო კომისიები, რომედშიაც შედიან თავმჯდომარეთ ქალაქის თვითმართველობის მიერ ამორჩეული ხმოსანი, წევრებათ მომრიგებელი მოსამართლე ამ რაიონის და პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს წარმომადგენელი. ამავე კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით შედიან მილიციის უფროსის და სახლის მეპატრონეთა კავშირის წარმომადგენელნი.

ეს კომისია სინჯავს ყველა ცნობებს, რომელიც მიაქვთ, სახლის, ბინის და სასტუმროების პატრონებს, აგრეთვე ცნობებს, რომელსაც მილიცია აწოდებს მას; მხოლოდ ამ კომისიის შემოწმების შემდეგ იქნება გადასახლებული ის პირი, ვინც ვალდებულია გადასახლდეს, მაგრამ თავის ნებით ამას არ ასრულებს. ამ კომისიის დადგენილების გადასინჯვა შეუძლია მხოლოდ ცენტრალურ კომისიას, რომელშიაც შევა 3 ხმოსანი ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული და ქალაქის თვითმართველობის ორი წევრი, თავის ინიციატივით ან რომელიმე წევრის პროტესტის გამო.

ქალაქის თვითმართველობას ეკუთვნის საზოგადო თვალყური და ხელმძღვანელობა კომისიის მუშაობით.

გამგეობა მიიღებს ზომებს, რათა მგზავრებს ბილეთები რიგს გარეშე მიეცეს და თუ ისინი მრავალრიცხოვანი იქნებიან მიეცემათ ვაგონებიც, რასაკვირველია, ფასით.

ვინც საქართველოს სამხედრო გზით მიემგზავრება, თუ მათი რიცხვი არის არა ნაკლებ ასისა, მათ რესპუბლიკის საზღვრებამდე მიაცილებს შეიარაღებული ძალები ტფილისის თვითმართველობის ხარჯით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ქალ. თვითმართველობა შეინახავს თავის საწყობებში წამსვლელთა ბარგს, იმ პირობით, რომ პატრონებმა მოიკითხონ ის ექვსი თვის განმავლობაში.

ქალაქის ლომბარდი მისცემს წამსვლელებს სესხს გირაოთი.

აი ის ზომები, რომლებმაც უნდა გაადვილონ წამსვლელების მოგზაურობა.

ამასთანავე გამგეობა თავს ვალდებულათ რაცხს განაცხადოს, რომ ზოგიერთი პირები ბოროტ-მოქმედებას სჩადიან, ეწერებიან ფიქტიურათ ამა თუ იმ საზოგადო ან კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეების რიცხვში. ასეთი დაწესებულებების პატრონებმა უნდა გაიხსენონ დადგენილების მეხუთე მუხლი ისინი პირველ რიგში იქნებიან გაგზავნილი ეტაპით რესპუბლიკის საზღვრებიდან და ვერავითარი საზოგადოებრივი მდგომარეობა ვერ იხსნის მათ ამ სასჯელისაგან,

**ტფილისის ქალაქის თვითმართველობა.**

P. S. ყველა ზემოხსენებულმა კომისიებმა დაიწყეს მოქმედება 20 ამ თვიდან.

# ზანგეზურში მომხდარ ამბების შესახებ

**საქართველოს გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან.**

ზანგეზურის ამბები ამიერ-კავკასიის ყველა ერთა სასურველად თავდება. ორივე მხარე შეთანხმდა შეაჩერონ სამხედრო მოქმედება; დაწყებულია მოლაპარაკება. ამის გამო საქართველოს გარეშე საქმეთა სამინისტრო საჭიროდ სცნობს გააცნოს მცხოვრებთ ის ზომები, რომლებიც მიიღო მან კონფლიქტის მშვიდობიან ლიკვიდაციისთვის.

—

დაახლოებით ოქტომბრის ოცში გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობა ზანგეზურში დაწყებულ ამბების შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრმა დაუყონებლივ მიანდო, იმ ჟამად ტფილისში მყოფ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ადერბეიჯანში, სასწრაფო ზომები მიიღოს ადერბეიჯანის მთავრობის წინაშე, რათა კონფლიქტი აცილებული იქნეს თავიდან.

22 ოქტომბერს, საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა ოფიციალური დადასტურება მიიღო საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლისგან ადერბეიჯანში, რომ ზანგეზურში მზადდება შეიარაღებული შეტაკება.

23 ოქტომბერს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაქოში შემდეგი დეპეშა გაეგზავნა:

„შეტაკების შედეგები დამღუპველი იქნება მთელ ამიერ-კავკასიისთვის; იმ დროს, როდესაც ჩვენი საკითხი პარიზის კონფერენციის დღის წესრიგში სდგას, ეს შეტაკება ორ ერთა შორის ძირიან ფესვიანად აღმოფხვრის დამოუკიდებლობის საქმეს. მინისტრის მონდობილობით გევალებათ თქვენ ყოველგვარი ზომები მიიღოთ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად. მინისტრის შეხედულება ამ საკითხზე გადაეცით მინისტრ-თავმჯდომარეს და ჯაფაროვს„.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი
**ქარცივაძე.**

ანალოგიური დეპეშა გაეგზავნა იმავე დროს ჩვენს დიპლომატ. წარმომადგენელს ერევანში **მახარაძეს.**

27 ოქტომბერს გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობა ბაქოდან ზანგეზურში სამხედრო შეტაკების აუცილებლობის შესახებ.

ამ ცნობის მიღების თანავე გარეშე საქმეთა მინისტრმა ინახულა ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი მის. ოლივერ უორდროპი, რომელსაც მან სთხოვა მიეღო სასწრაფო ზომები კონფლიქტის თავიდან ასაცილებლათ. ასევე მოახსენა გარეშე საქმეთა მინისტრმა პირადათ საზავო კონფერენციის უმაღლეს კომისრის თანაშემწეს—პოლკ. რეის და საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსს პოლკ. **დე-ნონ წკურუს.**

4 ნოემბერს გარეშე საქმეთა მინისტრმა მიმართა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს ადერბეიჯანში და სომხეთში შემდეგი ნოტით: „როგორც მიღებულ ცნობებიდან ვიცით ზანგეზურის მაზრაში მზადდება შეიარაღებული შეტაკება ორ მეზობელ რესპუბლიკათა შორის—ადერბეიჯანისა და სომხეთის.

სადაო საკითხის ასეთი გადაწყვეტა ანგრევს ამიერ კავკასიის ერთა ზავისკენ მისწრაფებას და ნაყოფიერ მუშაობას და მას აქვს დამღუპველი გავლენა იმ ახალგაზდა რესპუბლიკათა საერთო ბედზე რომელთა არსებობა ჯერ ოფიციალურათ არ არის ცნობილი ყველი ერთა მიერ, და ხელს შეუწყობს იმ სამწუხარო მოვლენებს, რომლებითაც ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა საერთო მტრები სარგებლობდენ, რომ გაებათილებიათ ისინი განათლებულ ერთა თვალში. რესპუბლიკათა შორის ახალი შეტაკება იქნება საბაბი უნდობლობისა და სამართლიან საყვედურისა იმათ მხრივ, რომელთა შორის არის მსოფლიოს პოლიტიკის სასწორი, ის შექმნის ახალ დაბრკოლებას რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის არსებობის საკითხში.

მხოლოთ შეთანხმებული მუშაობით შინაურ სიმშვიდისა და სახელმწიფოებრივ სიმტკიცის დაცვით, ამიერ კავკასიის ერნი შესძლებენ დაძლევას იმ უამრავ დაბრკოლებათა, რომლებიც ემუქრებიან მათ დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობის, შეძლებენ გაატარონ ცხოვრებაში თავისი სამართლიანი მოთხოვნა, და წაართვან მტრებს იარაღი, რომლითაც ისინი სამარეს უთხრიან მათ და ჩირქს სცხებენ მათ კეთილ სახელს.

ვინაიდან კონფლიქტის თავიდან აცილება არის ფრიად სასურველი და მიზანშეწონილი ამიერ კავკასიის რესპუბლიკის ინტერესების, გთხოვთ მიიღოთ ზომები კონფლიქტის მოსაგვარებლათ, ურთიერთ შორის შეთანხმებით, ან სავალდებულო არბიტრაჟით.

გარეშე საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**

5 ნოემბერს გარეშე საქმეთა მინისტრმა მიმართა პარიზის კონფერენციის უმაღლეს კომისარს ჰასკელს, ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს ამიერ-კავკასიაში **უორდროპს** და საფრანგეთისა და იტალიის მისიების უფროსებს შემდეგი ნოტით:

„თქვენო აღმატებულებავ! ჩვენ მიერ მიღებული ცნობებით, ზანგეზურის მაზრაში მზადდება შეტაკება, რომელსაც ცუდი შედეგები ექნება. ვინაიდან, ყველა სიძნელე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის შეიძლება მოგვარდეს შეთანხმებით, და ვინაიდან სადავო საკითხის ძალით გადაწყვეტა სასურველი არ არის, ჩვენ ვცდილობდით და ვცდილობთ ყოველგვარი საშუალებით დავარწმუნოთ სომხეთისა და ადერბეიჯანის რესპუბლიკები მშვიდობით მოაგვარონ ზანგეზურის კონფლიქტი. რადგან ჩვენ დიდი იმედი არ გვაქვს იმისი, რომ ჩვენი შუამდგომლობა სასურველ შედეგ ამდემიგვიყვანას, გთხოვთ იქონიოთ გავლენა, რათა აცილებული იქნეს შეიარაღებული კონფლიქტი სომხეთისა და ადერბეიჯანის რესპუბლიკათა შორის და, თუ შესაძლებელია, ანტანტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მიმართოთ კოლექტიური დეკლარაციით სათანადო მთავრობებს აღნიშნულ კონფლიქტის მშვიდობიანათ მოსაგვარებლათ.

გარეშე საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**

7 ნოემბერს ბრიტანეთის უმაღლეს კომისარის **უორდროპისგან** შემდეგი პასუხი მიიღო გარეშე საქმეთა მინისტრმა:

თქვენო აღმატებულებავ! თქვენ მომართვაზე № 8282, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ რამოდენიმე ხანს მე ბევრი ვეცადე იმ საკითხების მშვიდობიანათ მოგვარებას, რომლებზედაც თქვენ სწერთ. მე კიდევ განვაგრძობ ცდას და ყოველ ღონეს ვხმარობ, რათა მივახწიო სასურველ მიზანს.

ღრმა პატივის ცემით **ო. უორდროპი.**

გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტებზე ადერბეიჯანის და სომხეთისადმი, როგორც ადერბეიჯანის წარმომადგენლმა, ისე სომხეთის მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადეს. რომ ისინი მზათ არიან შეაჩერონ სამხედრო მოქმედება, თითეულ რესპუბლიკის ინტერესების დაცვის პირობით.

14 ნოემბერს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელიდან ერივანში შემდეგი დეპეშა მოვიდა.

„სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ალექსანდრე ივანეს ძე ხატისოვი თხოვს საქართველოს მთავრობას, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა მშვიდობიანათ მოგვარდეს სომხეთისა და ადერბეიჯანის ურთიერთ შორის განწყობილება ზანგეზურის საკითხის გამო, რომელიც სამწუხაროთ იწვევს სისხლის ღვრას ორ მეზობელ ერთა შორის. აუცილებელი საჭიროა, რომ 20 ნოემბერს ბაქოში დანიშნული კონფერენცია, სადაც უკვე გაემგზავრენ სომხეთის დეპუტატები, შესდგეს და სადავო საკითხები მშვიდობიან გზით გამოირკვეს. ამ საკითხის შესახებ მოველაპარაკები ადერბეიჯანის წარმომადგენელს სომხეთში.

ზანგეზურში შეტაკება უკვე დაიწყო, და თუ ამ ორ-სამ დღეში არ შევაჩერეთ, აუცილებელია ომი. № 182. გენ. **კარაღოზი.**

16 ნოემბერს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელიდან ბაქოში შემდეგი დეპეშა მოვიდა:

„15 ნოემბერს ვინახულე გარეშე საქმეთა მინისტრი ჯაფაროვი და მთავრობის თავმჯდომარე უსუბეკოვი, რომლებსაც ვთხოვე, სამხედრო მოქმედების შეჩერება და სადავო საკითხების გადაცემა განსახილველათ სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენციაზე, რომელიც უნდა შესდგეს 20 ნოემბერს ბაქოში, ან ყველა სადავო საკითხების გადაწყვეტა არბიტრაჟის საშუალებით.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი **ალშიბაია.**

უკანასკნელათ 17 ნოემბერს ბაქოდან შემდეგი დეპეშა მოვიდა საქართვ. დიპლომატიურ წარმომადგენელიდან:

„დღეს, 17 ნოემბერს, ვინახულე გარეშე საქმეთა მინისტრი ჯაფაროვი და მთავრობის თავმჯდომარე უსუბეკოვი. ჩვენი, უორდროპისა და რეის შუამდგომლობის გამო, ისინი თანახმა არიან შეაჩერონ სამხედრო მოქმედება ზანგეზურში განსაზღვრულ პირობებში.

საქართველოს წარმომადგენელი
**ალშიბაია.**

# ქალაქის მილიციის უფროსისაგან ყველა კომისარს.

რათა არავითარ ბოროტ-მოქმედებას და უწესოებას არ ექნეს ადგილი შინაგან საქმ. სამინისტროს დადგენილების განხორციელებაში ქალაქის დაცლის შესახებ, მთავრობამ მოაწყო ამისთვის სპეციალური კომისიები თვითეულ კომისარიატში, გარდა 11 და 13 კომისარიატისა, (მე 11 კომისარ. შეერთებულია მე 12 სთან, და მე 13 კომ. 1-სთან); კომისიებში შედიან, მხოლოდ სათათბირო ხმით აუცილებლათ თვით კომისარი თითოეული თავის რაიონში. ამისთვის კომისრები ვალდებული არიან დღესვე დაუთმონ კომისარიატში სპეციალური ოთახი, და თუ საჭიროება მოითხოვს თავისი კაბინეტიც, აგრეთვე კომისიის განკარგულებაში უნდა იქნეს საქმის მწარმოებელი და საკანცელარიო ნივთები.

კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს, რომლებიც სათანადო განცხადებით არიან აღჭურვილნი, დღესვე შეუძლიანთ მიმართონ კომისრებს ასეთი მოთხოვნით, მოქმედებას კი იწყებენ ფაქტიურად 21 ნოემბერს საღამოს 6 საათზე.

სახლის პატრონები და მოიჯარადრენი, მათი პასუხის მგებელი გამგეები, ბინის დამქირავებლები, სასტუმროს პატრონები და სხვ. ვალდებულნი არიან შემოიტანონ ცნობები მხოლოთ იმ პირებზე, რომლებსაც ეხება სავალდებულო დადგენილება და კომისრები კი ვალდებული არიან მისცენ მათ ხელწერილი ასეთ ცნობების მიღებაში და გადასცენ ცნობები კომისიას განსახილველათ.

გარდა ამისა კომისრები პირადათ აგროვებენ ცნობებს იმ პირთა შესახებ, რომელთაც დადგენილება ეხება და ღებულობენ ასეთს კერძო პირთაგანაც. ისეთ შემთხვევაში, როგორც სახლის პატრონებისა და სხვების ცნობა დამაკმაყოფილებელი და სრული არ არის, კომისრებმა უნდა აღნიშნონ.

კომისიების მიერ ცნობების განხილვამდე, მილიცია არავითარ ზომებს არ ხმარობს გასაძევებლათ. ზომები უნდა მიღებულ იქნეს მხოლოთ კომისიის განკარგულებით, იმ შემთხვევაში თუ გასაძევებელნი პირნი არ დასტოვებს ქალაქს დანიშნულ ვადაზე.

ამ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარებას მთავრობის თავმჯდომარე დიდ ყურადღებას აქცევს და ის პირნი, რომლებიც ბოროტმოქმედებას ჩაიდენენ ამ საქმეში სასტიკად იქნებიან დასჯილნი კანონის ძალით.

# ადერბეიჯანის მისიაში.

**ზანგეზურის ამბების გარშემო.**

ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარემ მოკავშირეთა უმაღლეს კომისარის მოადგილეს პოლკ. რეის შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

„თქვენ მიერ ნოემბრის 14, 15 და 16 № 308-ით გამოგზავნილ დეპეშების საპასუხოთ მაქვს პატივი გაუწყოთ ამით შემდეგი: ზანგეზურში აზერბეიჯანის მხრით სამხედრო მოქმედებას ადგილი არა ჰქონია. ზანგეზური ადერბეიჯანის რეს, განუყოფელი ნაწილია და ყოველთვის ასეთად ითვლებოდა არამც თუ ჩვენის, არამედ მოკავშირეთა მიერ ინგლისის სარდლობის სახით და თვით საზავო კონფერენციის უმაღლესი კომისარი პოლკ. გასკელი, აღიარებდა რა ჩვენ უდაო უფლებებს ზანგეზურის მაზრაზე, ნახჩევანის საკითხზე შეთანხმების ერთ მუხლში სომხეთის მთავრობისგან მოითხოვდა, რომ ის დახმარებოდა ადერბეიჯანის მთავრობას, რათა ზანგეზურის მაზრაში მშვიდობიანის გზით მოხდეს აჯანყებების ლიკვიდაცია და ამნაირათ ამ მაზრის სომეხი მცხოვრებნი დაემორჩილენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის ძალაუფლებას. ადერბეიჯანის მთავრობის მიღებულ უკანასკნელ ცნობებით, სომხეთის მთავრობამ არამც თუ არ შეასრულა თავისი მოვალეობა პოლკ. ჰასკელის წინაშე და პირიქით, ზანგეზურის მაზრაში თავისი რეგულიარული ჯარი გაგზავა აჯანყებულთა დასახმარებლათ და მოძრაობის გასაძლიერებლათ. ამის გამო ადერბეიჯანის მთავრობა იძულებული იყო დამხმარე სამხედრო ძალა გაეგზავნა ყარაბახის გენ.-გუბერნატორისთვის წესიერების აღსადგენათ და ანარქო ბოლშევიკურათ განწყობილ მეამბოხე სომხების დასამორჩილებლათ. ზანგეზურში ადერბეიჯანის ძალაუფლებას მიზნათა აქვს დასახული აჯანყებულ სომხთა მიერ მაჰმადიანურ სოფლების განადგურების შესაწყვეტათ, 60 ათასი გაქცეული მაჰმადიანი თავის კერას დაუბრუნოს და აღადგინოს წეს-რიგი. თქვენ დეპეშებში გამოთქმულ თხოვნის თანახმათ, მე წინადადება მივეცი ყარაბახის გენ.-გუბერნატორს, არავითარი ზომები არ მიიღოს ზანგეზურის აჯანყებულთა წინაალმდეგ და ეს მოქმედება ფაქტიურათ უკვე შეწყვეტილია. მზათ ვართ 20 ნოემბერს დილის 11 საათზე შევხვდეთ თქვენ და ხატისოვს, მაგმაგრამ ამან მაინც არ უნდა შეაფერხოს სომხეთის დელეგატების მოსვლა ბაქოში კონფერენციაზე“.

# უსუპ გეკოვის და ხატისოვის ჩამოსვლა.

19 ნოემბერს შუადღის 1 საათზე ერევნიდან ტფილისში სასწრაფო მატარებლით ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი, რომელსაც სადგურზე დახვდენ: საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. გედევანიშვილი, სამხედრო შტაბის უფროსი გენ. ზაქარიაძე და ურთიერთობის გენერალი ჯაფარიძე, სომხეთის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში გ. ევანგულოვი სადგურზე დაყენებული იყო საპატიო ყარაული.

იმავე დღეს შუადღის სამ საათზე ბაქოდან სწრაფი მატარებლით ჩამოვიდა ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარე უსუფბეკოვი. ადერბეიჯანის საზავო კონფერენციის წევრი მამედ ჰასან გაჯინსკი, მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი ადერბეიჯანში ალშიბაია. უსუფბეკოვს სადგურზე დახვდენ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. გედევანიშვილი, სამხედრო შტაბის უფრ. გენ. ზაქარიაძე, ურთიერთობის უფროსი გენ. ჯაფარიძე და ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში ვექილოვი. სადგურზე დაყენებული იყო საპატიო ყარაული.

ნაშუადღევის 4 საათზე სომხეთის მთავრობის თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა ინახულა მის ბინაზე მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან.

საღამოს 6 საათზე მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი მის ბინაზე ინახულეს უსუპბეკოვმა და ბ. ალშიბაიამ უსუპბეკოვს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ევგ. გეგეჭკორთან.

ს. ღამის $7^1/_2$ საათზე ევ. გეგეჭკორის ბინიდან საზავო კონფერენციის უმაღლეს კომისარის მოადგილემ პოლკ. რეიმ მიიპატიჟა თავისთან სასადილოთ ევ. გეგეჭკორი, უსუპბეკოვი ხატისოვი, დ. ლამბაშიძე და გ. ევანგულოვი. სადილს შემდეგ ყველანი გაემგზავრენ სახელმწიფო თეატრში, სადაც იმ ღამეს ოპერა „აბესალომ და ეთერი" მიდიოდა. სახელმწიფო თეატრის კომისარმა იქ დამსწრე მაყურებლებს აუწყა ძვირფასი სტუმრების დასწრების შესახებ რის შემდეგაც ხალხი ფეხზე ადგა და ისე მიესალმა უსუპბეკოვს და ხატისოვს შემდეგ შესრულებულ იქმნა საქართველოს აზერბეიჯანის, სომხეთის და ამერიკული ჰიმნები

თეატრიდან გამოსვლისას სტუმრებს ხალხი კიდევ მიესალმა და ოვაციები გაუმართა.

# მუნიციპალური ცხოვრება.

**ქუთაისის ქალაქის საბჭოში.**

ქუთაისის ქალაქის საბჭომ 6—7 და 10 ნოემბრის თავის მორიგ სხდომებზე დაადგინა—საბჭოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი სანიტარული გადასახადი 1.150.000 მანეთი გადიდებულ იქნეს 8.280.000 მანეთამდე. ეს გადასახადი უმთავრესად მოქალაქეების შეძლებულ ნაწილზეა გაწერილი. ამ გადასახადის მოქალაქეებიდან აკრებას ქალაქის გამგეობა ამ დღეებში შეუდგება.

—

ქუთაისის ქალაქის საბჭოს საფინანსო საბიუჯეტო კომისია 13 ნოემბერს უკვე შეუდგა ქალაქის საერთო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ამ საკითხზე ფინანსიურ კომისიაში მომხსენებლათ გამოვიდა ქალაქის გამგეობის წევრი ანტონ მეფისაშვილი.

—

ქუთაისის ქალაქის თავის ამხანაგმა სერგო რობაქიძემ, გამგეობის წევრებმა: ანტონ მეფისაშვილმა, ნიკოლოზ საყვარელიძემ, ალექსანდრე ჯაფარიძემ, ლევან ქორქაშვილმა. ქალ. ინჟენერმა გრიგოლ აბაშიძემ და ტეხნიკმა აბესაძემ 12 ნოემბერს ბალახვანის ქუჩაზე კოწია დათეშიძის შენობაში დაათვალიერეს საზოგადოება „ახალი კოლხიდას" საქსოვი ქარხანა, რომელიც მოეწყო ქუთაისში ძმები დათეშიძეების ინიციატივით და ტყვე გერმანელების დახმარებით. ქალაქის გამგეობამ ევროპიულ გეგმაზე მოწყობილი საქსოვი ქარხანა მოიწონა და ამ საქმის ინიციატორებს საქმის სასურველ ნიადაგზე დასაყენებლათ ნედლი მასალის მიწოდებით სათანადო დახმარების აღმოჩენა აღუთქვა.

# ბათუმში

**სიძვირესთან ბრძოლა.**

ინგლისელებმა უკანასკნელ დღეებში რამოდენიმე ბრძანება გამოსცეს ქალაქის ცხოვრების მოსაწესრიგებლათ. ერთ ერთ უკანასკნელ ბრძანებით, რომელიც სიძვირის წინააღმდეგაა მიმართული, ქუჩებში აპატიმრებენ იმათაც, ვინც ნიხრზე ზევით გაყიდის საქონელს და იმათაც, ვინც ყიდულობს ნიხრზე ზევით.

**მძარცველების დახვრეტა.**

ინგლისის სარდლობა მკაცრ ზომებს ღებულობს აგრეთვე ყაჩაღ-მძარცველების წინააღმდეგ ამ დღეებში ქალაქის ერთ მთავარ მოედანზე საჯაროთ დახვრიტეს რამოდენიმე ყაჩაღი-მძარცველი.

**ინგლისური სამხედრო ტანისამოსის ტარების აკრძალვა.**

ინგლისის სამხედრო სარდლობა მკაცრ ზომებს ღებულობს იმ მოქალაქეთა წინააღმდეგ ვინც ინგლისურ სამხედრო ტანისამოსს ატარებს. ქუჩებში აპატიირებენ ქალებსაც, რომლებსაც გადაკეთებული ასეთი ტანისამოსი აცვიათ.

**ქართულ ეროვნულ საბჭოს ახალ პრეზიდიუმის არჩევა,**

ამ დღეებში ბათომის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ ახალი პრეზიდიუმი აირჩია.

**ქალაქის გამგეობის გარშემო.**

ბათომში ახლო მომავალში მოელიან ეხლანდელ ქალაქის გამგეობის დათხოვნას ინგლისელების მიერ. ქალაქის მართველობა გადაეცემა ერთ ინგლისელ სამხედრო პირს, რომლის მეთაურობითაც საგანგებო კომისია შეიმუშავებს ახალ თვითმართველობის არჩევნების წესს.

# მეღვინეთა და მევენახეთა კონგრესი.

კვირას, 23 ნოემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ზეიმით გაიხსნება საქართველოს მეღვინეთა და მევენახეთა კონგრესი. კონგრესზე მოწვეულია მთავრობის, დამფუძნებელ კრების წევრები და ყველა საკულტურო და საგანმანათლებლო საზოგადოებათა წარმომადგენლები.

## განცხადებანი

1918 წ. მაისის 31-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნაფიც ვექილის ცოლმა ნინო მიხეილის ასულმა მირაკოვამ 4,000 მ. მიჰყიდა ილია დიმიტრის ძე თაქთაქიშვილის და ალექსანდრე თეიმურაზის ძე ორჯონიკიძეს მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ტფილისის 1 უბ., ქალაქ. № 849, ზომით 291,72 კვ., საჟ.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 13.50 კ. გადასაწ. 60 კაპ. სიმტკიცის 160 მან.

მთავარი ამონაწერი 20 მან. სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 325 2—1

---

1918 წ. მაისის 30-ს ტფილისის ოლქ. სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სტეფანე ნიკოლოზის ძე მუსიაჩენკომ 21,585 მ. მიჰყიდა სურენ ე. ერზინკიანს უძრავი ქონება, მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში, უდელნი და ტერსკი ქ., ქალაქ. № 1559. ქონება შეიცავს მიწის ნაჭერს, ზომით 117 კვ. საჟ.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ.—1 მან. 20 კ., სიმტკიცის 863 მან. 41 კაპ.

მთავარი ამონაწერი 110 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

325 1—1

---

1918 წ. მაისის 15-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ოლღა საჩინოს ასულმა, იასონ, ილარიონ, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ ვასილის ძეთ გაბაშვილებმა და დარია ვასილის ასულმა ყიფშიძემ 2600 მან. მიჰყიდეს რაჟდენ დიმიტრის ძე მებუროვს მიწის ნაჭერი, ზომით 104 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში ქალ. № 50.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ.—1 მან. 20 კაპ., სიმტკიცის 104 მან.

მთავარი ამონაწერი 31 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 325 1—1

---

ივანე ტატოს ძე მელაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 6150, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 143 3—3

---

1918 წ. მარტის 14-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ტროფიმ დიმიტრის ძე და მისმა ცოლმა ირინე ნიკოლოზის ასულმა სიმდიანოვმა 4000 მან. მიჰყიდეს სპარსეთის ქვეშევრდ. ალიხაშიმ ოღლის მიწის ნაჭერი, ზომით 92 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბ. ქალ. № 1576.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ.—60 კ., სიმტკიცის 160 მან.

მთავარი ამონაწერი 20 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

326 1—1

---

გაუქმებულია ვექილობა, მიცემული მიხეილი მაქსიმეს ძე ბაძუ ძოკის ძე ბერიშვილების, კირილე ისლამის ძე ციმიტიას, ივანე უჩანას ძე, ივანე, ბურდღუს ძე, კოსტა გვაჩის ძე ფიფიების, ანტონი ჰინჰას ძე, დიტი მურზას ძე, აკობიების, სილიბისტრო კოსტას ძე ბუბაშვილის, ქიბარი ტოტის ძე გულორდავას და თემურაზი ბავუს ძე ცხადიას მიერ,—მარკოზი ოთარის ძე ანთაძე, მაქსიმე პეპუს ძე ფიფია, ალექსი პავლეს ძე ბერიშვილი და იასონი ივანეს ძე ჰანტურიაზე და გამოცხადებული ზუგდიდის ნოტარიუსის კანტორაში, 21 მაისს 1919 წ. რეესტრით № 213, დადგენილებით-ზუგდიდის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა 29 ოქტომბრიდან 1919 წლისა. 062 1—1

---

სახელმწიფო ბანკის ტფილისის კონტორა აცხადებს, რომ ხელწერილი სახელმწ. ბანკ. ტფილ. კანტ. № 53,481 ბაგრატიონ მუხრანსკის სახელზე დაკარგულია და თუ ის არ იქნა წარმოდგენილი კანტორაში ორიკვირის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან, გაუქმებულათ ჩაითვლება, და მის მაგიერ ახალი მიეცემა. 100 1—1

---

სპარსეთის ქვეშევრდომი ბენიამინ—მიხეილის ძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნაციონალური პასპორტი და რუსული ბილეთი, მიღებული 1919 წ. 1615 3—1

---

ეფიმია ალექსანდრეს ასული ზუბალოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1877 წ. იანვრის 12-ს, რეესტრი № 28. 105 3—1

---

დაკარგულია სალექციო წიგნაკი № 558 და მესამე სემესტრის სწავლის ფულის გადახდის კვიტანცია № 3064, მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ ლევან გიორგის ძე სარჩიმელიას სახელზე, რომლებიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 160 3—1

---

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე დანდუროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასორტი მიღებული სო ფ. ახალქალაქის ერობის გამგეობიდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული მე 5 ქართული ათასეულის კანცელარიიდან. საბუთები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

138 3—3

---

შინაგან საქმეთა სამინისტროდან გაცემული არონ სვიმონის ძე თავდიდიშვილის სახელზე საზღვარ-გარეთის პასპორტი № 1567 დაკარგულია, ჩაითვალოს გაუქმებულათ.

149 3—3

---

დაკარგულია სანიტარულ გადასახადის კვიტანცია № 7172, აღებული ნოემბრის 5 ს, სულ 8000 მანეთის ღირებულეზისა, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—3

---

ივანე კამრამანის ძე ბაბუმიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 61,445, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

171 3—1

---

გიორგი გურვან ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული ტფილისის სინოდის კონტორიდან და პასპორტი მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. საბუთები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

150 3—3

---

აგას პეტროსის ძე სიმონიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმისტერის კანცელარიიდან № 674 და დასაზღვევი პოლიუსი ამხანაგობა „სოლომონდრიდან" მიღებული № 14274. საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს.

175 3—1

---

ვასილი ალექსანდრეს ძე კობაიძე აცხადებს, რომ მან [illegible] წოლის [illegible] დოკუმენტები და [illegible] ნებართვა № 193—5305, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 176 3—1

---

კარაპეტ ტიგრანის ძე შახპარნიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 40 და ცოლის (ასატანის), აღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 173 3—1

---

ალექსანდრე ალექსის ძე შახპარონოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ბორჯომის კომისარიატიდან, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 141 3—3

---

დავით მიხეილის ძე ფირალიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ტფილისის ყოფილ პოლიცმეისტრის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

152 3—3

---

კონსტანტინე გიორგის ძე ლვამიჩავა აცხადებს, რომ დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიიდან № 6666. პასპორტი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

153 3 3

---

მარკოზა სიმონის ძე ჯულაღიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და მეტრიკული მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 139 3 3

---

დაკარგულია პასპორტი № 485 აღებული 20 I 1919 წ. ეკატერინეფელდის სასოფლო სამმრთველოდან ალექსანდრე სტეფანის ძე მარტიროსიანცის მიერ, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 140 3—3

---

დავკარგე ორი მოწმობა მიღებული ტფილისის მთავარ საბაჟოში მიღებული ბათუმიდან წამოღებული საქონლების და 6 მწიფოების სთვეს № 7224 და 8909 მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს და შესაფერი გასამრჯელოც მიიღოს ბათუმი მიხაილოვის ქუჩა საწყობი „კავშირთა კავშირი" 148 3—3

---

დაკარგულია ვადიანი თანხის კვიტანცია № 25721 (24) ს. აღებული საერთოშორისო კომერციული ბანკიდან მუსტაფა ზაქარია-ოღლი კულიევის მიერ 1916 წ. 20 სექტემბერს, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

120 3—3

---

დაკარგულია, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიიდან აღებული გიორგი დავითის ძე ლეშკაშელის მიერ ატესტატი და შვიდი კლასის გათავების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

137 3—3

---

პელაგია თეოდოსეს ასული ბიჩვაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგს პასპორტი მიღებული ქ. ფოთის ქალაქის გამგეობიდან № 1919 წ. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება.

147 3-3

---

კარაპეტ სააკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუჩაში ვაჭრობის ნებართვა მიღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან საბუთი გაუქმებულად ჩაითვალოს. 164 3—2

---

დაკარგულია მოწმობა № 170, აღებული სურენ ტერ-ასატუროვის მიერ გზათა სამ. ავტომობილების სარეგისტრაციო განყოფილებიდან რომელის გაუქმებთლათ ჩაითვალოს.

169 3—2

---

ნატალია დავითის ასული ხირსელი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, ოფიცრების ეკონომიურ საზოგადოებიდან აღებული წიგნაკი (მაჭავარიანის სახელზე აღებული) წიგნაკი და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

170 3—2

---

ფარნა (ეპლაოზი) ლევანის ძე ხაინდრავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული 1909 წ. სენაკის მაზრაში, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 168 3—2

---

იაკოფ არონის ძე გურელაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შემდეგი საბუთები: 1) მეტრიკული მოწმობა მიღებული ქართველ ურიათა საზოგ. რავინისგან; 2) პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან და 3) აქსტაფის საბაჟოდან მიღებული კვიტანცია. საბუთები გაუქმებულად ჩაითვლება.

163 3—2

სტამბა საქართველოს მთავრობის.

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე